



ფლენერი ო'კონორი

კარგი კაცი
სანთლით საძებარია

ფლენერი ო'კონორი
პარზი კაცი სანთლით სანთბარია

Flannery O'Connor
A GOOD MAN IS HARD TO FIND

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

ქართული
წიგნის
ანთხალი
სახლი



წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

გარეკანზე გამოყენებულია დოროთეა ლენგის ფოტო (ფრაგმენტი)

© 1955 by Flannery O'Connor
© 1954, 1953, 1948 by Flannery O'Connor
© 1993, 1981 Renewed by Regina O'Connor
© 1976 renewed by Mrs. Edward F. O'Connor
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-552-3

www.diogene.ge

სარჩევი

კარგი კაცი სანთლით საძებარია.....	7
მდინარე	31
ნუ იჩქარებთ – სხვასაც გაუფრთხილდით და საკუთარ თავსაც!	57
ბედის ერთი გაღიმება	75
უმანკო სულის ტაძარი.....	95
თაბაშირის ზანგი.....	115
ცეცხლოვანი წრე	147
ნაგვიანევი შეხვედრა მტერთან	177
კეთილი სოფლელი ხალხი	193
ადგილნაცვალი პირი	225

კარგი კაცი სანთლით საძებარია

სიმართლე ითქვას, ბებოს სულაც არ ეპიტნავებოდა ფლორიდაში გამგზავრება – ერჩივნა, ტენესის შტატში მოენახულებინა რამდენიმე თავისი ნათესავი და შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, ამ ამბავში როგორმე ბეილიც გადმოებირებინა. ბეილი მისი ერთადერთი შვილი იყო, ვისთანაც ცხოვრობდა კიდეც. ახლა ის მაგიდას მისჯდომოდა და „ჯორნელის“ სპორტულ გვერდს ჩაჰკირკიტებდა.

– აბა ერთი ეს ნახე, ბეილი! – უთხრა ქალმა. – ერთი ეს წაიკითხე... – თქვა და გამხდარ თეძოზე ცალი ხელით დოინჯშემოყრილმა, მეორით გაზეთი აუფრიალა ცხვირწინ. – ის პატიმარი, თავის თავს რომ აცდენილს ეძახის, ფედერალური ციხიდან გაქცეულა და ახლა ფლორიდისკენ მიემართებაო... ნახე ერთი, ნახე, რა უქნია იმ ხალხისთვის! წაიკითხე... ცოცხალი თავით როგორ გავაჭაჭანებდი შვილებს ისეთ ადგილას, სადაც ამნაირი დამნაშავეები თავისუფლად დაწანალებენ! ღამე რა დამაძინებდა მშვიდად...

ბეილის ხმა არ გაუცია, იმ თავის ჟურნალს ფურცლავედა. ქალმაც შვილს ზურგი აქცია და ახლა ბავშვების დედას მიუბრუნდა – ახალგაზრდა, გამტკნარებულსახიან ქალს, რომელსაც ფართხუნა შარვალი ეცვა, თავზე წაკრული მწვანე ხილაბანდის აპრეხილი კუთხეები კი კურდღლის დაცქვეტილ ყურებს მიუგავდა. ტახტზე მოკალათებული, პირდაპირ ქილიდან აჭმევდა ნაბოლარას გარგარის კომპოტს.

– ფლორიდაში უკვე გყავდათ, – ახლა მას მიმართა მოხუცმა.
– აჯობებს, რამე სხვა მხარეც აჩვენოთ. ბოლო-ბოლო, რაც მეტს
ნახავენ, მათთვისვე უკეთესი. აი მაგალითად, ტენესიში ხომ არა-
სოდეს ყოფილან...

რძალი თითქოს არც უსმენდა, რვა წლის სათვალთანმა, ჩას-
კვნილმა ჯონ-უესლიმ კი იქვე მიახალა:

– თუ არ გინდა ფლორიდაში წამოსვლა, დარჩი აქ, გიშლის
ვინმე?! – ის და მისი უმცროსი და ჯუნ-სტარი იატაკზე გართხმუ-
ლები კითხულობდნენ კომიქსებს.

– კი აბა, სულ მაგ ჭკუაზა! – სიტყვა შეაშველა დამ ისე, რომ
ქერათმიანი თავიც არ აუღია.

– თქვენი ნებაა, ოღონდ მაშინ როგორ აჭიკჭიკდებით, იმ აც-
დენილს თუ გადაეყარეთ სადმე? – იკითხა ბებია.

– ერთს მოვდებ იმ ჟანგიან ყბაში და მორჩა! – განაცხადა ჯონ-
უესლიმ.

– მილიონიც რომ აჩუქო, ეგ შინ დამრჩენი მაინც არაა, – თა-
ვისას აგრძელებდა ჯუნ-სტარი. – ეგ იმის შიშით, რამეს არ გამო-
ვაკლდეო... სადაც წავალთ, ყველგან წამოგვყვება.

– დავიმახსოვრებ მაგას, ქალბატონო! – უთხრა ბებომ. – კიდე
დაგჭირდება თმის დავარცხნა!

ამის პასუხად ჯუნ-სტარმა განუცხადა, არაფერი ვარცხნა ჩემ
თმას არა სჭირდებაო.

მეორე დღით სამგზავროდ გამზადებული ბებია პირველი გა-
მოიჭიმა მანქანაში. უკანა სავარძლის კუთხეში ჰიპოპოტამის თა-
ვივით მოჩანდა მისი დიდი შავი სამგზავრო ჩანთა, მის ქვეშ კი კა-
ლათაც დაებინავებინა, რომელშიც საყვარელი კატა – პიტი-სინგი
გატრუნულიყო. სულაც არ აპირებდა სამი დღით მის მარტოდმარ-
ტო დატოვებას შინ, რადგან იცოდა, უჩემოდ ძალიან მოიწყენსო
და ეგეც რომ არა, შეიძლებოდა გამათბობლის ონკანს გასდებოდა
უნებურად და გაზით მოწამლულიყო კიდევ. რაც შეეხება მის ვაჟს,
ბეილის, ის სასტუმროებში კატიანად შესახლების სასტიკი წინააღ-
მდეგი გახლდათ.

ბებომ უკანა სავარძლის შუაში დაიკავა ადგილი, აქეთ-იქიდან ჯონ-უესლი და ჯუნ-სტარი მიუსხდნენ, ხოლო წინა სავარძელზე ბავშვების მამა და დედა მოთავსდნენ, ამ უკნასკნელს კი ხელში ნაბოლარა ეჭირა. ატლანტიდან დილის რვა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გამოვიდნენ, მანქანის სპიდომეტრი ამ დროს 55.890 მილის გარბენს უჩვენებდა. ბებომ ეს მონაცემი საგულდაგულოდ ჩაინიშნა უბის წიგნაკში, რადგან ჩათვალა, რომ ურიგო არ იქნებოდა იმის ცოდნა, რა მანძილს დაფარავენ ამ მოგზაურობის დროს. ქალაქის გარეუბნამდე მისვლას სულ ოცი წუთი მოანდომეს.

მოხუცი მოხერხებულად მოენყო, ბამბის თეთრი ხელთათმანე-ბი წაიძრო და ხელჩანთასთან ერთად უკანა ფანჯარასთან მიუჩინა ადგილი. ბავშვების დედას ახლაც იგივე შარვალი ეცვა და თავზეც ის მწვანე ხილაბანდი წაეკრა, ბებიას კი თეთრი იების კონით განწყობილი ლურჯი ჩალის ქუდი დაეკოსებინა თავზე და ტანზეც ლურჯივე, თეთრად დანიწკლული სამგზავრო კაბა შეერჩია. მაჯები და საყელო თეთრი მაქმანებით გაენყო, გულისპირზე კი ხელოვნური, სუნამონაპკურები იები დაებნია. ღმერთმა არ ქნას და ავარიში რომ მოყოლილიყვნენ, ყველა ნამსვე მიხვდებოდა, რა დარბაისელი ქალბატონიც ბრძანებულიყო ამ უბედური შემთხვევის მსხვერპლი...

სამგზავროდ მშენიერი დღეაო, – გამოაცხადა ბებომ. – არც ძალიან ცხელა და არც ზედმეტად გრილაო, – დაასკვნა. მერე კი ბეილი გააფრთხილა: იცოდე, აქ, ამ გზაზე, ორმოცდათოთხმეტი მილია მაქსიმალური სიჩქარე, პატრულმა კი აბრებისა და ხეების უკან იცის ჩასაფრება და ისე ჩაგიდგებიან კვალში, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებო. მის მახვილ მზერას არც ერთი ღირსშესანიშნაობა არ გამოჰპარვია – არც სთოუნ-მაუნთინის გოროზი მთა, მოლურჯო გრანიტის გოლიათი, აქა-იქ რომ აისვეტებოდა ხოლმე გზატკეცილის ორივე მხრიდან; არც მენამულფერდაკრული თიხის ყლადი ფერდობები და არც მწვანე რიგებად ჩალაგებული ნარგავები. დილის მზის სხივებში გახვეული ხეებიდან ყველაზე შუუხედავნიც კი თითქოს შიგნიდან აფრქვევდნენ მოთეთრო-მო-

ვერცხლისფრო შუქს. ბავშვებს ახლაც იმ თავიანთ კომიქსებში ჩაერგოთ ცხვირი, დედას კი დილის ძილი შეებრუნებინა.

– ერთი ეს ჯორჯის მხარეც დროზე გადაგვატარა, – ჩაილაპარაკა ჯონ-უესლიმ. – სანახავიც რო არაფერია...

– მე რომ შენი ხნის ბიჭი ვიყო, მშობლიურ შტატზე ასე არ ვილაპარაკებდი, – შენიშნა ბებიამ. – ტენესი თავისი მთებითაა განთქმული, ჯორჯია კიდე – ბორცვებით.

– ერთი მიყრუებული მხარეა ეგ შენი ტენესი! – წამოიძახა ჯონ-უესლიმ. – ჯორჯია კიდე მთლად უარესი.

– აი ზუსტად, რა... – მხარი აუბა ჯუნ-სტარმა.

– ჩემ დროს, – წამოიწყო ბებიამ და თხელი, ძარღვიანი ხელები გულზე დაიკრიფა, – ბავშვებს ბევრად მეტი პატივისცემა ჰქონდათ მშობლიური შტატისაც, მშობლებისაც და საერთოდ, ყველაფრისაც... ხალხიც წესიერად ცხოვრობდა. უი, ნახეთ ერთი, რა ლამაზი ბავშვია! – წამოიძახა უცებ და საკუთარი ქოხმახის გამოღებულ კართან მდგარი ზანგის ბიჭუნასკენ გაიშვირა თითი. – მთლად დახატულს არ გავს?

თქვა და ყველამ მაშინვე იქით გაიხედა, ბიჭმა კი ჩავლილ მანქანას დაუქნია ხელი.

– შარვალიც რომ არ აცვია... – ჩაიბურტყუნა ჯუნ-სტარმა.

– ალბათ არცა აქვს, – აუხსნა ბებომ. – ზანგებს სოფლად ბევრი რამ ისეთი არა აქვთ, რაც ჩვენთვის სულ უბრალო ამბავია... ხატვა რომ ვიცოდე, უთუოდ დავხატავდი, – განაცხადა მერე.

ბავშვებმა კომიქსები გაცვალეს.

ბებიამ რძალს შესთავაზა, მოდი, ცოტა ხნით პანჩას გამოგართმევო და იმანაც მაშინვე გადმოაწოდა. ბებო ბავშვს მუხლებზე ათამაშებდა და თან ხმამაღლა უხსნიდა, რა ჩანდა მანქანის ფანჯრებიდან, როგორც შეეძლო ართობდა, თვალს უპაჭუნებდა, ტუჩებს უპრუნუნებდა და თავისი ბებრული, გამხდარი ლოყით ბავშვის პირბადრ სახეს ელამუნებოდა, პასუხად კი ისიც შიგადაშიგ უნდოდ შეჰლიმებდა ხოლმე. გზა ახლა ბამბის ვრცელ მინდორზე გადიოდა, რომლის შუაგულშიც, პანანინა კუნძულივით, ლობით შემოსაზღვრული მომცრო სასაფლაო მოჩანდა.

– ნახეთ, საფლავები! – წამოიძახა ბებია და ახლა იქითკენ გაიშვირა თითი. – ეტყობა, ამ პლანტაციის მეპატრონეების საოჯახო სასაფლაოა.

– და მაგათი სახლი სადღა? – იკითხა ჯონ-უესლიმ.

– ქარმა წაიღო... – თქვა ბებია და საკუთარი ხუმრობით ნა-სიამოვნებმა ჩაიხითხითა.

როცა ბავშვებმა ყველა წამოღებული კომიქსი პირველიდან უკანასკნელ ნახატამდე ჩაათვალიერეს, საგზალი ამოლაგეს და ჭამას შეუდგნენ. ბებიამაც წაიხემსა არაქისის კარაქიანი ერთი სენდვიჩითა და ცალი ზეთისხილით, ოღონდ არც ის დავინწყებია, ბავშვები გაეფრხილებინა – ნარჩენებსა და ნახმარ ხელსახოცებს ფანჯრიდან არ გადაუძახხოთო. მერე, გასართობად, თამაშიც წამოიწყეს: რომელიმე მათგანი ცაზე ღრუბელს ამოირჩევდა, დანარჩენ ორს კი უნდა გამოეცნო, რას ამგვანებდა ის ამ ღრუბელს. ჯონ-უესლიმ ერთ-ერთი ძროხას მიახმავა და მისმა დამაც უშეცდომოდ გამოიცნო ეს, თუმცა ბოლო წუთს ჯონ-უესლიმ იუარა – ძროხა კი არა, მანქანა ვიფიქრეო, რაზეც ჯუნ-სტარი აწუნუნდა, უსამართლოდ თამაშობო და მუჯღუგუნიც უთავაზა.

მათ შორის მჯდარმა ბებომ უცებვე გააშველა საჩხუბრად აფოფრილი და-ძმა და უთხრა, ჭკვიანად თუ იქნებით, ერთ ამბავს მოგიყვებითო. მართლაც, მთელი გრძნობით შეუდგა თხრობას – წამდაუნუმ თვალებს ატრიალებდა, ხელებს იქნევდა და საერთოდაც, მეტისმეტად შვეიდა ეშხში: თურმე ქალიშვილობაში ერთი თაყვანისმცემელი ჰყოლოდა, ვინმე ბ-ნი ედგარ ატკინს თიგარდენი ჯორჯის შტატის ქალაქ ჯასპერიდან. მშვენიერი შესახედი კაცი იყო და ისედაც ყოველმხრივ დახვეწილი; თურმე ყოველ შაბათ საღამოს საზამთროს მოართმევდა ხოლმე, ზედ ამოჭრილი საკუთარი ინიციალებით. ერთხელაც მოსულა, საზამთროც მოურთმევია, შინ კი არავინ დახვედრია. ამიტომ ძღვენი პარმალზე დაუტოვებია, თვითონ კი თავისი მსუბუქი ორთვალა ეტლით ჯასპერში გაბრუნებულა. ოღონდ ძღვენს ამჯერად ბებიამდე ვერ მიუღწევია, რადგან ვილაც ზანგის ბიჭს რომ ზედ ამოჭრილი ასოები დაუნახავს, ამდგა-

რა და მართლა შეუხრამუნებია...¹ ამ ამბავმა ჯონ-უესლი ძალზე გაამხიარულა და მერეც კარგა ხანს ხითხითებდა, თუმცა ჯუნს ეს სულაც არ მოსჩვენებია სახალისოდ. ისიც კი თქვა, ცოცხალი თავით არ გავყვებოდი ეგეთ კაცს, კვირაობით საზამთროთი ხელდამშვენებული თუ მომადგებოდა შინო, რაზეც ბებია მიუგო, ნეტა კი გაველოდი ბ-ნ თიგარდენს, რადგან ჭემარიტი ჯენტლმენი გახლდათ და თან მაშინვე შეიძინა „კოკა-კოლას“ აქციები, როგორც კი პირველად დაიწყეს მათი გაყიდვაო. თურმე სულ რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილიყო და გვარიანი ქონებაც დაეტოვებინა.

ცოტა ხანში „კოშკთან“ შეჩერდნენ შემწვარი ხორცის სენდვიჩების საჭმელად. ქალაქ ტიმოთის გარეუბანში მდგარ ამ ნაწილობრივ შებათქაშებულ და ნაწილობრივ ხის ნაგებობის მახლობლად ბენზინგასამართი სადგური და საცეკვაო მოედანიც გაემართათ. აქაურობას ერთი ვინმე ჩასუქებული კაცი განაგებდა, მეტსახელად „ლოყებლაჟლაჟა“ სემ ბატსი, ხოლო ზედ შენობაზე, ისევე როგორც მის შორიახლოს, გზატკეცილის ორივე მხარეს, უამრავი აბრა გამოეფინათ: მიირთვით „ლოყებლაჟლაჟა“ სემის ცნობილი სენდვიჩები! „ლოყებლაჟლაჟა“ სემის უბაღლო ნახალავი! გვაპტიყვათ ლოყებლაჟლაჟა სემი! ესტუმრეთ ვეტიარანს – ბედნიერად მოღიბარ მსუქან ბიჭს! ლოყებლაჟლაჟა სემი შინაშრულად გიგასინძლებო!

თავად ეს ჩვენი ლოყებლაჟლაჟა სემი შიშველ მინაზე გართხმულიყო და საბარგო ავტომანქანას ქვეშიდან რალაცას უჩხიკინებდა; რუხი ფერის, დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლის პატარა მაიმუნი კი იასამნის ბუჩქზე მიეხა და ისიც რალაც თავისას ჩლიფინებდა. ოღონდ როცა მანქანიდან გადმოსული, მისკენ გაქანებული ბავშვები დაინახა, მაშინვე ისკუპა და სულ ზედა ტოტზე შეხტა.

შიგნიდან ეს „კოშკი“ გრძელი, ჩაბნელებული დარბაზი იყო, რომლის ერთ ბოლოში დახლი იდგა, მეორეში – მაგიდები, შუა-

¹ ამ გვარ-სახელის ინგლისური აბრევიატურა – E.A.T. ითარგმნება როგორც „ჭამე, მიირთვი“.

გული კი საცეკვაოდ გაეთავისუფლებინათ. ყველანი მუსიკალური ავტომატის გვერდით მიუსხდნენ ხის მაგიდას და ლოყებლაჟლაჟა სემის მეუღლემაც – მაღალმა, სახეზე მზედაკრულმა, ქერათმიანმა და წყალწყალათვალეზიანმა ქალმა წამსვე მიიღო მათგან შეკვეთა. მერე ბავშვების დედამ ავტომატში ხურდა ჩააგდო და „ტენესის ვალსი“ აახმიანა, ბებიამ კი განაცხადა, ამის მოსმენაზე სულ ცეკვა მინდებო. სთხოვა კიდეც ვაჟიშვილს – იქნებ შენც ამყვეო, მაგრამ იმან მხოლოდ ერთი უხმოდ შეუბღვირა. დედისაგან განსხვავებით, ბიჭი განსაკუთრებული ხალისიანობით ისედაც არასოდეს გამოირჩეოდა, მგზავრობისას ხომ მთლად იძაბებოდა ხოლმე. აი, დედამისს კი უცნაურად უბრწყინავდა თაფლისფერი თვალები, მერე თავიც ააკანტურა, აქეთ-იქით რწევას მოჰყვა – თითქოს აცეკვდა კიდეც ასე, სკამზე დასკუბებული. ჯუნ-სტარმა მოითხოვა, რამე ისეთი დაუკარით, ფეხი მაინც ავაცოლოო და დედამისმაც კიდეც ერთხელ ჩაუშვა ავტომატში ხურდა. ახლა უფრო სწრაფი მუსიკა გაისმა და ჯუნ-სტარმაც მაშინვე საცეკვაო მოედანს მიაშურა.

– რა საყვარელი ბავშვია, – წამოიძახა დახლზე გადმონოლილმა, ლოყებლაჟლაჟა სემის მეუღლემ. – თუ გინდა, გიშვილებ და სულ აქ დარჩი!

– ნამდვილად არ მინდა! – გამოსძახა ჯუნ-სტარმა. – მილიონიც რომ მაჩუქონ, ამისთანა ქოხში რა მაცხოვრებს! – უთხრა და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა.

– დედა, რა გასაგიჟებელი ბავშვია... – გაიმეორა ქალმა და ცოცხა არ იყოს, ცალყბად გაიღიმა.

– როგორ არ გრცხვენია! – ხმადაბლა გაუწყრა ბებო ჯუნ-სტარს.

ამასობაში, ლოყებლაჟლაჟა სემიც შემოვიდა და ცოლს უთხრა, გეყო ლაილაი, დროზე მიართვი ამ ხალხს შეკვეთილიო. ხაკის შარვალი ჩამოსჩაჩოდა, გადმოგდებული მუცელი კი ყელესავით უთიმთიმებდა პერანგქვეშ. სტუმრებისკენ გამოემართა, უახლოეს მაგიდასთან ჩამოჯდა და ერთი გემრიელად ამოიხვნეშა.

– არაა საშველი, – წამოიწყო საუბარი. – რაც გინდა ქენი, მაინც სულერთია, საბოლოოდ... – მერე დიდი ნაცრისფერი ცხვირ-სახოცით შეიმშრალა ოფლიანი შუბლი. – კაცს ველარ ენდობი ჩვენს დროში, ასე არაა?

– მართალს ბრძანებთ, წახდა ხალხი! – კვერი დაუკრა ბებიამ.

– ვილაც ორმა შემომიარა აქ წინა კვირას, – გააგრძელა ლოყებლაჟღაჟა სემმა. – „კრაისლერით“ იყვნენ. ძველი, გვარიანად ნახმარი მანქანა ჩანდა, ოღონდ ჯერაც მუშა და ეს ბიჭებიც რაღაც რიგიან ხალხად მომეჩვენა თითქოს. ასე მითხრეს, სამხერხაოში ვმუშაობთო და – დამიჯერებთ? – ნისიად ჩავუსხი ბენზინი. როგორ გგონიათ, რატო ვქენი ასე?

– კარგი კაცი ხართ და იმიტომ, – მაშინვე უპასუხა ბებიამ.

– ეტყობა, მართლა ეგრეა, – არ შეჰკამათებია სემი, თითქოსდა მაგრა გაუკვირდა ამგვარი მოსაზრებაო.

მისმა ცოლმა შეკვეთილი მოიტანა: ხუთი თევზი ერთად მოჰქონდა, ლანგარზე დაუდებლად – ორ-ორი ცალი თითო ხელში ეჭირა, ერთიც კიდე მოხრილ მკლავზე დაედო.

– დედამინის ზურგზე არავის უნდა ენდო, – თქვა იმანაც. – არც ერთ სულიერს! – დასვა ბეჭედი და ქმარს გახედა.

– იმ გაქცეული ავაზაკის ამბავს გაიგებდით ალბათ, იმ ვილაც აცდენილისა... – თქვა ბებიამ.

– სულ არ გამიკვირდება, აქაც რომ მოგვადგეს, – მიუგო ქალმა. – ჩვენს არსებობას თუ გაიგებს, უთუოდ გვესტუმრება. თუ ეცოდინა, სალაროში ორიოდე ცენტი მაინც უჭყავითო, ადგება და...

– კარგი რა, გეყო! – გააჩუმა ქმარმა. – „კოკა-კოლაც“ მოუტანე ამ პატიოსან ხალხს.

ქალი უსიტყვოდ გატრიალდა, ახლა უკვე სასმელის მოსატანად.

– კარგი კაცი სანთლით საძებარია, – დაასკვნა ლოყებლაჟღაჟა სემმა. – აირია ქვეყანა. მე კიდე ის დროც მახსოვს, შინიდან გასული კარს რომ არ ვკეტავდი ხოლმე. ბიჭი ხარ და დღეს გაბედე იგივე!

სემმა და ბებია ცოტა ხანს ძველ, უკეთეს დროებაზე ისაუბრეს. მოხუცი ქალის თქმით, ყველა ამჟამინდელი უბედურების თავი და თავი ევროპა გახლდათ: სწორედ იქ ჰგონიათ, ამერიკელებს ფული ჩეჩქივით აქვთ და არც იმის დათვლით ინუხებენ თავსო, რაზეც ლოყებლაყლაყა სემმა მიუგო – ზუსტად ეგრეა, წყალი არ გაუვაო. ამასობაში ბავშვები გარეთ, მზისგულზე გაცვივდნენ და ისამინის ბუჩქის ტოტებში მოკალათებულ მაიმუნს მიაჩერდნენ, ის კიდე აინუნშიც არ აგდებდათ და დიდის გულისყურით დაეძებდა საკუთარ ბალანში რწყილებს. როგორც კი დაიჭერდა, წინა კბილებით ისე ფრთხილად და მონდომებით გაკვნეტდა ხოლმე, თითქოს რალაც იშვიათი სიგემრიელით იტკბარუნებს პირსო.

მერე ისევ გააგრძელეს გზა შუადღის პაპანაქებაში. ბებიას თვლემა მორეოდა, თუმცა მალიმალვე აღვიძებდა ხოლმე თავისივე ხვრინვა. თაუნსბოროს გასცდნენ თუ არა, უკვე საბოლოოდ გამოფხიზლდა და მაშინვე გაახსენდა – სადღაც აქ, ახლომახლო, ერთი პლანტაცია უნდა იყოს, სადაც ჯერ კიდეც მთლად ახალგაზრდა გოგო ვიყავი სტუმრადო. მახსოვს, ექვსი თეთრი სვეტი ქონდა იმ სახლს, მუხების ხეივანში კი ორი ფანჩატური იდგა, სადაც ბაღში სეირნობის მერე დასვენებას არაფერი ჯობდაო. იქით მიმავალი გზაც და გადასახვევიც მშვენივრად ახსოვდა, ოღონდ წინდანიწვე იცოდა, რომ ბეილი დროს არ დაკარგავდა იქაურობის თვალთვლებით, არადა მაინც არ ცხრებოდა, სურდა ისევ ის ფანჩატურები ენახა, მართლა თუ შემორჩენილიყო აქამდე.

– იმ სახლში სამალავიც ჰქონდათ, – ცოტა იეშმაკა ბებომ: მოიტყუა, თუმცა ძალიან კი უნდოდა, მართლა ასე ყოფილიყო. – ამბობდნენ, აქ რომ გენერალ შერმანის ჯარმა გაიარა, მთელი საოჯახო ვერცხლეული სწორედ იქ გადამალესო, მერე კი ველარც უპოვიათ...

– მაგარია! – წამოიძახა ჯონ-უესლიმ. – მოდი რა, მივიდეთ და ჩვენ ვიპოვოთ! ყველაფერს გადავაბრუნებთ და მაინც მივაგნებთ! ახლა ვინ ცხოვრობს იმ სახლში? სად უნდა გადავუხვიოთ? მამა, გადავუხვიოთ რა!

– სამალავიანი სახლი ხომ არასოდეს გვინახავს, – აჰყვა ჯუნ-სტარიც. – მივიდეთ რა, ვნახოთ! მამა, გეხვეწები, წაგვიყვანე რა!

– ზუსტად მახსოვს, აქედან ახლოა, – თქვა ბებია. – ოც წუთზე მეტი არ დაგვჭირდება.

ბეილი გაშეშებული უჯდა საჭეს, პირგამეხებული გასცქეროდა გზას.

– არა, – ამოღერღა როგორც იქნა.

ბავშვებმა ერთი ვაი-ვიში მორთეს, ძალიან უნდოდათ საკუთარი თვალით ენახათ სამალავიანი სახლი. ჯონ-უესლიმ გამეტე-ბით მიარტყა მუშტი წინა სავარძლის საზურგეს, ჯუნ-სტარი კი დედას ჩამოეკიდა მხარზე და მთელი ხმით ჩაჰყვიროდა ყურში – არდადეგები ისე გავატარეთ, არაფერი გასართობი არა გექონია და რაც გვინდა, არაფერს არ გვისრულებთ ხოლმეო! მერე ნაბოლარაც აჭყლოპინდა, ხოლო ჯონ-უესლიმ ერთხელაც ისეთი ძალით მიარტყა ხელი საზურგეს, მამამისს ლამის თირკმელი გამოუგდო.

– კარგი ჰო! – იყვირა ბეილიმ და მანქანა გზის პირას გააჩერა. – აღარ მორჩებით?! ახლა ყველანი თუ არ გაკმენდთ ხმას, საერთოდ აღარსადაც აღარ წავალთ!

– სხვათა შორის, შემეცნებითი თვალსაზრისითაც ძალზე სასარგებლო იქნებოდა ბავშვებისთვის, – ჩაიბურტყუნა ბებომ.

– გეყოთ ახლა! – თქვა ბეილიმ. – ოღონდ ესეც კარგად დაიმახსოვრეთ: ამნაირი სისულელეების გამო მეტი აღარ გავჩერდები, ეს იყოს პირველი და უკანასკნელი!

– სოფლის გზაზე გადასახვევი დაახლოებით ერთი მილით უკან დაგვრჩა, – ყოველი შემთხვევისთვის შენიშნა ბებია. – კარგად დავინახე, რომ ჩავუარეთ.

– სოფლის გზა მომინდომეს! – აჯუჯღუნდა ბეილი.

მერე, როცა მანქანა მოაბრუნა და გადასახვევისკენ გაემართნენ, ბებია იმ სახლთან დაკავშირებით ერთი-ორი სხვა წვრილმანიც გაიხსენა: მაგალითად, ულამაზესი სარკე წინკარში და დიდი, სანთლებიანი ქალი სასტუმრო ოთახში. ჯონ-უესლიმ აზრი გამოთქვა – სამალავი ალბათ, ბუხარში იქნებო.

– სახლში ვერ შეხვალთ, – თქვა ბეილიმ. – არც კი ვიცი, ახლა ვინ ცხოვრობს იქ.

– სანამ თქვენ მასპინძლებს დაელაპარაკებით, მე შემოვუვლი და უკანა ფანჯრიდან გადავძვრები, – თავი გამოიძო ჯონ-უესლიმ.

– საერთოდ არც გადახვალთ მანქანიდან, არც ერთი! – ცივი წყალი გადაასხა დედამ.

სოფლის გზაზე გადაუხვიეს და მანქანამაც უცებვე დააყენა ირგვლივ მოვარდისფრო მტვრის ბუქი. ბებია მახლა ის დროც გაიხსენა, როცა ჩქაროსნული გზატკეცილები საერთოდ არ არსებობდა და დღეში 30 მილის გავლაც კი დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა. ოღორჩოლო გზაზე ალაგ-ალაგ გვარიანი ორმოებიც ხვდებოდათ და მოულოდნელი, მკვეთრი მოსახვევებიც ხშირად ენაცვლებოდა ერთმანეთს. მაინც შედარებით სწრაფად მიაღწიეს ბორცვის წვერს, საიდანაც ირგვლივ მრავალი მილის მანძილზე ხეთა მოლურჯო კენწეროები მოჩანდა, მერე კი უცებვე დაემუნენ მონითალოდ შეფერილ ტაფობში, სადაც ხეები უკვე ზემოდან დასცქეროდნენ.

– სახლი დროზე თუ არ გამოჩნდა, იცოდეთ, უკან ვბრუნდები, – განაცხადა ბეილიმ.

გზა კი ისეთი უკაცრიელი ჩანდა, თითქოს აქ მრავალი თვის განმავლობაში არც გაეგლო არავის.

– დასანახად ცოტა შორია, – თქვა ბებია და სიტყვაც არ დაემთავრებინა, ერთმა საშინელმა აზრმა გაუელვა თავში; ისე შერცხვა, სახეც კი წამოუწითლდა, თვალები გაუფართოვდა და ფეხიც ისე შეუთამამდა, რომ უნებურად ჩანთას გაჰკრა, ისიც გადმოვარდა კალათიდან და კატა პიტი-სინგიც მაშინვე კნავილით შეახტა მხარზე ბეილის.

ბავშვებმა ძირს მოადინეს ზღართანი, მათი დედა კი, ჩვილით ხელში, უცებ მოფრიალებული კარიდან გადავარდა გარეთ, ხოლო თავად მოხუცი ქალბატონი სულაც წინა სავარძელზე აღმოჩნდა... მანქანა ერთხელ გადაბრუნდა, მერე კი ისევ ბორბლებზე დადგა გზისპირა თხრილში. ბეილი ჯერაც მძღოლის ადგილზე იჯდა, კი-

სერზე კი დაფეთებული ებლაუჭებოდა თეთრპირისახიანი, ნარინ-ჯისფერცხვირიანი კატა...

ბავშვებმა როგორც კი ნახეს, ხელ-ფეხის ამოძრავება შეგვიძლიაო, მაშინვე მანქანიდან ისკუპეს და აყვირდნენ – ავარიაში მოვყევით, ავარიაში მოვყევითო! ბებია იატაკზე მოკუნტულიყო და გულის სიღრმეში იმედოვნებდა კიდეც, რაღაც მაინც დავიზიანე, თორემ ბეილის ვერ გადავურჩებო. ის საშინელი ფიქრი კი, რამაც სწორედ ავარიამდე გაუელვა თავში, მოკლედ ასეთი გახლდათ: ხსენებული სახლი ხომ სინამდვილეში ჯორჯიის შტატში კი არა, ტენესიში იდგა!

ბეილიმ ორივე ხელით მოიშორა კისრიდან ზედ ტკიპასავით მიკრული კატა და მთელი ძალით მოისროლა ფანჯრიდან საბრალო ცხოველი. მერე თვითონაც გადავიდა და თვალებით ბავშვების დედას დაუნყო ძებნა. ქალი თიხნარი თხრილის პირას წამომჯდარიყო, ხელში ატირებული ბაღლი ეჭირა. მხოლოდ სახე დაკანწვროდა და მხარი ქონდა ნალრძობი. „ავარია მოვყევით, ავარიაში!“ – ყულოპინებდნენ ამასობაში საოცრად გახალისებული მისი შვილები.

– ოღონდ ყველა გადავრჩით... – დანანებით ჩაილაპარაკა ჯუნსტარმა, როცა ბებიაშისი გაჭირვებით, კოჭლობ-კოჭლობით გამოფოფხდა მანქანიდან. ჩალის ქუდი კი შერჩენოდა თავზე, ოღონდ წინა მხარეს ფარფლი სასაცილოდ ეკიდა და იის კონასაც შეეცვალა უწინდელი ადგილი. ყველანი თხრილის პირას ჩამოსხდნენ სულის მოსათქმელად და აზრზე მოსასვლელად. მხოლოდ და-ძმა ვერ ისვენებდა ადგილზე.

– იქნებ ვინმემ მაინც გამოიაროს... – ხმაჩახლეჩით ჩაილაპარაკა რძალმა.

– მგონი, რაღაც ჩამწყდა შიგნით, – დაიჩვილა ბებია და მკერდზე მიიღო ხელი, თუმცა პასუხი არავის გაუცია. ბეილის კბილები უკანკანებდა. ტანზე ყვითელი, ლურჯთუთიყუშებიანი სპორტული პერანგი ეცვა და ახლა სახეზეც სწორედ ამ პერანგისფერი დასდებოდა. ბებია გონივრულად გადაწყვიტა, კრინტსაც არ დაეძრავ, ის სახლი სინამდვილეში ტენესიში რომ დგასო.